

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრი ეკოლოგის“ კუთვნილი ნარჩენების გადამუშავების საწარმო

ტექნოლოგიური ციკლის აღწერა

1. ინფორმაცია ნარჩენების მიღებისა და დროებითი განთავსების შესახებ

კომპანია ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენის ტრანსპორტირებას კლიენტი ორგანიზაციებიდან (სამედიცინო დაწესებულებებიდან) ახორციელებს მისი კუთვნილი ავტოტრანსპორტით. სამედიცინო ნარჩენი შეფუთულია ჰერმეტიკულად თავმოკრულ პოლიეთილენის ტომრებში, რომლებსაც თან ახლავს ეტიკეტი. ეტიკეტზე განთავსებულია ინფორმაცია ნარჩენის წარმომქმნელი ორგანიზაციის, ნარჩენის წარმოქმნილს თარიღის, ნარჩენის კატეგორიის, ასევე მასის შესახებ (აღნიშნული პროცესი ხორციელდება ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ).

საწარმოს ტერიტორიაზე შემოსული ნარჩენი განადგურებამდე გროვდება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში (რომელიც საწარმოს რეკონსტრუქციის ფარგლებში დაემატა შენობას) და ყოვნილება ინსინერაციამდე. აღნიშნული ოთახი ემიჯნება უშუალოდ ინსინერატორის იზოლირებულ სივრცეს.

ნარჩენების სათავსის გადასვლის პრევენციის მიზნით, ნარჩენების ახალი პარტიის ტრანსპორტირების განხორციელებამდე ხდება არსებული გადასამუშავებელი ნარჩენის მოცულობის გათვალისწინება.

2. ინფორმაცია დანადგარის ფუნქციონირების შესახებ *

მეორადი ინსინერაციის კამერა და სავენტტილაციო დანადგარი დამონტაჟებულია მეორადი შემრევი ინსინერაციის კამერაში. მაღალ ტემპურატურაზე აალებადი აირი,

**გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან*

დანართი N2

შერეული მბოლავ აირში, ფაქტობრივად სრულად იწვება. გაზიფიკატორის (აირის წარმომქმნელი) მიერ წარმოქმნილი აირი ეფექტურად ერევა ჰაერს, იწვება და გამორციხავს გახურებულ აირში არსებული ნახშირბადის მასალის გაფრქვევას და დაყოვნებულ წვას.

როდესაც მბოლავი აირი შედის მაღალი ტემპერატურის გამოსაწვავ კამერაში, შეიძლება ისევ სრულად დაიწვას გამოსაწვავ კამერაში. მბოლავი აირის მტვრის მოსაშორებლად გამოიყენება როტაციული ჰაერის ნაკადი, რომელსაც აქვს ტანგენციური შესასვლელი და წვის დამხმარე ჰაერის ტანგენციური შესასვლელი.

მბოლავი აირის ღუმელში დაყოვნების დრო 2 წამზე მეტია, ასე რომ წვადი აირი მბოლავ აირში და წვადი ნივთიერებები გაფრქვეულ ნაცარში სრულად იწვება. მშრალი გამონახობლქვი აირის გამწმენდი აღჭურვილობა საკვამურის ზედა ბოლოში გამოიყენება ინსინერაციით წარმოქმნილი წყალბადის ქლორიდისთვის და გოგირდის ოქსიდებისთვის, რომლის შთანთქმით დამუშავების შემდეგ, კომპონენტები, როგორცაა მბოლავი აირის სუნი, იშლება მაღალ ტემპერატურაზე. მბოლავი აირის გამწმენდი სისტემა აღჭურვილია კალციუმის ჰიდროქსიდის ფილტრებით, რაც ანეიტრალებს მჟავის შემცველ აირებს, ისე რომ მავნე კომპონენტები მბოლავ აირში მინიმუმამდე შემცირდეს.

ინსინერატორი იმართება ავტომატური პროგრამული კონტროლით, რასაც მინიმუმამდე დაყავს ადამიანური ჩართულობა. ინსინერატორის კარს და მტვრის გამწმენდ კარს აქვს სრულად დალუქული სტრუქტურა, ორმაგი მჭიდრო პლომბის ფორმით, ისე რომ ინსინერაციის დროს ღუმელი სრულად იზოლირებულია მისი გარე ზედაპირისგან, რაც ქმნის ნეგატიური წნევის წვას, ეს კი გამორიცხავს მეორადი დაბინძურების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ინფექციური საშიში სამედიცინო ნარჩენების დამუშავებისას, რაც აშკარას ხდის დანადგარის უპირატესობას.

**გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან*

დანართი N2

ფიგურა Error! No text of specified style in document..1 WFS-300 ტიპის ინსინერატორი



ცხრილი Error! No text of specified style in document..1 ინსინერატორის პარამეტრები

N	პარამეტრის დასახელება	განზომილება	მონაცემი
1	წარმადობა	კგ/საათ	235
2	საწვავი	N/A	ღოჭულ ან ბუნებრივი აირი
3	საჭიროძაბვა	ვოლტი	220
4	სიგრძე	მეტრი	2,10
5	სიგანე	მეტრი	1,55
6	სიმაღლე	მეტრი	3,80
7	წვის ტემპერატურა	°C	1000-1200
8	საკვამურის სიგრძე	მეტრი	6
9	საკვამურის გარე დამეტრი	სანტიმეტრი	40

*გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან

დანართი N2

**გადმოტანილია სკოპინგის წარმოდგენილი დოკუმენტიდან*